ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3722328001**
თარიღი:**24/11/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს აგდილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის ძირითად მოთხოვნებს. ამასთან, განხილვა-დამტკიცების მიზნით საკრებულოში წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მნიშვნელოვანწილად არის გაუმჯობესებული შედგენის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. კომისიის სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების სპექტრი ასეთია:

1, პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - დაფინანსება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია 7 040 000 ლარით, რაც მთლიანი საბიუჯეტო ასიგნებების 20,9 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ბიუჯეტთან მიმართებით დაგეგმილი იყო 22,5 %-ის ფარგლებში. მაშინ როდესაც, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი 2022 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდას ითვალისწინებს თითქმის 23 პროცენტიანი პუნქტით. პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - დაფინანსება ზემოთ აღნიშნული ოდენობით (7 040 000 ლარის) არ არის მართებული.

2, პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ - თითქმის ყველა პროგრამა / ქვეპროგრამა მოითხოვს კონკრეტიზაციას, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების და მათი შეფასების ინდიკატორების დაზუსტებას.

3, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული განსახორციელებელი პროგრამებით გათვალისწინებული პროექტების და ღონისძიებების კონკრეტული ლოკაციები. რაც პროგრამული ბიუჯეტისერთ-ერთი სერიოზული ნაკლია.

4, საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებს განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების აღწერილობითი ნაწილი.

5, მოსახელობის ხშირი მომართვიანობისა და N60/09 სამაჟორიტარო ოლქის საკრებულოს წევრის მოთხოვნის საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში მიზანშეწონილად ჩაითვალა სოფ. მერიაში არსებული უსახლკაროთა საცხოვრისის უკანა ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება.

კომისიიამ მიიღო გადაწყვეტილება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაბრუნების შესახებ.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი